



საქართველოს

შასი 10 მან. პარასკევი, საქსტაგრი 24 1920 წ.

რეპროდუქციის

მთავრობის მოაზრება, სოფლისმეურნეობის განვითარებისათვის (ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით) **საძირითველოს რესპუბლიკა**

განეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამკვლევარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო. უწყ. განცხ. დებ. ანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიბრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-82

სოფლისმეურნეობის განვითარება.

პ ა ნ ო ნ ი

შრომის ხელშეკრულებისა.

11. დამქირავებლის მოვალეობა და დამქირავებლის უფლება.

მუხ. 49.

დამქირავებელი ვალდებულია დამქირავებულს დაპირებული გასამრჯელო აძლიოს. უკეთეს გასამრჯელოს თაობაზე არ მორიგებულან, მისი რაოდენობა უნდა განსაზღვროს შრომის სამინისტროს ორგანომ იმის მიხედვით, თუ რა თვისებისა, ღირსებისა და რაოდენობისაა სამუშაო.

მუხ. 50.

დამქირავებულს იმ შემთხვევაშიაც აქვს უფლება გასამრჯელოს მიღებისა, თუ სამუშაო დროის განმავლობაში მზად იყო და ძალაქ შესწევდა მუშაობისა, მაგრამ ვერ იმუშავა, დამოუკიდებლისა და მის პიროვნებისა და ცხოვრებას გარემოებასთან დაკავშირებულ მიზეზთა გამო.

მუხ. 51.

ვინცობა დამქირავებელმა ვერ ისარგებლა დამქირავებელი შრომა სტიქიონურ მოვლენათა გამო: ცეცხლის გაჩენისა, წყალდიდობისა, ორთქლის ქაბის გასკდომისა, წარმოების დანგრევისა, სამხედრო გარემოებისა და სხვა ამ გვარი მიზეზით, დამქირავებულს უფლება აქვს მიიღოს გასამრჯელო არა უმეტეს ორის კვირისა, უკეთეს ხელშეკრულებით, ან დამყარებულ ჩვეულებით ეს უფლება უფრო ხანგრძლივი ვადით არ მიენიჭება.

მუხ. 52.

თუ დამქირავებელი, რომელიც დამქირავებულთან სტრავრობს, ავად გახდა, დამქირავებელი ვალდებულია იზრუნოს მის წამლობისა და მოვლისათვის, ან საავადმყოფოში მოსათავსებლად, იმდენად, რამდენადაც ამ გვარი დახმარება უზრუნველყოფილი არა აქვს ავადმყოფს საავადმყოფო კასისა ან სხვა დაწესებულების მხრიდან.

მუხ. 53.

დამქირავებელი ვალდებულია ყოველგვარი მანე დამოკიდებული ღონისძიება იხმაროს, რომ გარემოება, რომელშიაც მუშაობა სწარმოებს, არ იყოს საშიშო დამქირავებულის სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა, პატივისა ან ზნეობისათვის. ამ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აგრეთვე დამქირავებლის მიერ შრომის ხელშეკრულების ძალით მუშათათვის მიჩენილი საცხოვრებელი ბინა.

მუხ. 54.

დამქირავებელი ვალდებულია მისცეს დამქირავებულს, მისი თხოვნისამებრ, მოწმობა იმისა, თუ როგორ, რამდენ ხანს და რა თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო მოთავსება (38 მუხ.) მოწმობაში ისეთი საიდუმლო (УЧЛОННЫЙ) ნიშნებისა, რომელიც დამქირავებულს ახალ თანამდებობის შოვნას გაუძნელებს, აკრძალულია.

მუხ. 55.

უკეთეს დამქირავებელმა ან წარმოების გამგემ დამქირავებულს პირადობის მოწმობა გამოართვა, ვალდებულია დაუბრუნოს იგი დამქირავებულს პირველი მოთხოვნისათანავე.

12. სამუშაო ხელფასი.

მუხ. 56.

სამუშაო ხელფასის, ან შრომის გასამრჯელოს რაოდენობა და მისი გამოანგარიშების წესი უნდა დადგენილ იქნეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხ. 57.

როცა დამქირავებელი ნაჭრობით (СДѢЛНО) ან ნარდი სამუშაოს ხელფასს იღებს, დამქირავებელი ვალდებულია: ა) სწორედ და ნათლად აღნიშნოს ხელშეკრულებაში და განსაკუთრებით შეფასების უწყებაში საფუძველი და წესი სამუშაო ხელფასის გამოანგარიშებისა; ბ) მიაწოდოს დამქირავებულს მოთხოვ-

ნისამებრ ყოველივე ცნობა, მასალა, რაც საჭიროა გასამრჯელოს ანგარიშის სისწორის შესამოწმებლად; გ) თვეში ორჯელ მაინც მისცეს დამქირავებულს მისი მოთხოვნისამებრ კუთვნილი გასამრჯელოს ანგარიშში ფული, რამდენიც შეეფერება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს ღირებულებას (ავანსი). ამ კანონის მე-49 მუხ. აღნიშნულ შემთხვევაში შრომის ხელფასი უნდა მიეცეს ნარდ სამუშაოს საშუალო გასამრჯელოს კვალობაზე (სამუშაო დროის) შესაფერად, გასამრჯელოს საშუალო რაოდენობა.

მუხ. 58.

თუ ხელშეკრულებით დაწესებული გასამრჯელო დამოკიდებულია ასასრულებელი სამუშაოს რაოდენობასა და თვისებაზე (ნაჭრობითი ხელფასი) და დამქირავებულზე დამოუკიდებელ და მის პიროვნებასთან დაუკავშირებელ გარემოებათა გამო დამქირავებელს გასამრჯელო იმაზე ნაკლები მიუღია, რაც სამუშაო დროს მიხედვით ერგებოდა, მას შეუძლია მოითხოვოს დამქირავებლისაგან ჩვეულებრივ ამ გვარისა და თვისების სამუშაოსთვის დროს მიხედვით დაწესებული გასამრჯელო. ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც თუ დამქირავებულმა ვერ შესძლო ისეთი ნარდი სამუშაოს დამთავრება, რომლისათვისაც გასამრჯელო მთელის სამუშაოს აღსრულებისათვის აქვს საერთოდ დანიშნული. უკეთეს დამქირავებულმა სამუშაოს აღსრულების საჭირო დროზე მეტი ხანი მოანდომა დამქირავებლის მიზეზით, უკანასკნელი ვალდებულია გადაუხადოს დამქირავებულს საშუალო, ნაჭრობითი სამუშაოს ხელფასის კვალობაზე ვეროვანი გასამრჯელო ამ წესის წინააღმდეგე შეთანხმება აღკრძალულია.

მუხ. 59.

თვიურ მუშებსა და მოსამსახურეებს შრომის ხელფასი თვეში ერთხელ მაინც უნდა მიეცეს. დღიურად და ნაჭრობით მომუშავეებს კი თვეში ორჯერ მაინც. განსაზღვრული სამუშაოს აღსასრულებლად დროებით დამქირავებულს ხელფასი უნდა მიეცეს შრომის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაზე; უკეთეს ხელშეკრულება დადებულია მცირე ვადით, არა უმეტეს ორი კვირისა, ხელფასი უნდა მიეცეს სამუშაოს გათავებისას; თუ ხელშეკრულება უფრო ხანგრძლივი ვადითაა დადებული, შიგ უმეტესად მოხსენებული უნდა იყოს, რომ დამქირავებულს ყოველ ორ კვირაში ერთხელ განსაზღვრული ჯამი ფულისა მიეცეს სამუშაოს სანგარიშში, ხოლო საბოლოო ანგარიში მთელის სამუშაოსი კი საქმის გათავების შემდეგ უნდა გასწორდეს. დამქირავებელი ვალდებულია იქონიოს საგანგებო წიგნი, რომელშიაც სისწორით და თავის დროზე უნდა ჩაიწეროს ყოველგვარი ანგარიში, რაც მას აქვს დამქირავებულთან.

მუხ. 60.

ანგარიშის გასასწორებელი ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით, ხოლო როდესაც შეთანხმება არ არსებობს, ჩვეულებით. გასამრჯელოს დარიგება აკრძალულია ისეთ ადგილებში, სადაც მაგარი სასმელები იყიდება, ბანქოს სათამაშო სახლებში და საერთოდ ისეთ ადგილებში სადაც აშკარა საფრთხეა იმისი, და რომ მიღებული ფული მიზანშეუფერებლად იქნება გამოყენებული და დახარჯული.

მუხ. 61.

როდესაც ხელშეკრულებით ხელფასი მთლად ან ნაწილობრივ განსაზღვრულია ფულად, აკრძალულია ფულის ნაცვლად, გასამრჯელოს ანგარიშში კუპონების, პირობითი ნიშნების, საქონლისა და სხვა საგნების მიცემა დამქირავებულისათვის.

მუხ. 62.

როდესაც დამქირავებულს შრომის ხელფასის ანგარიშში საცხოვრებელი ბინა, სურსათი და სხვა მოსახმარი საგნები ეძლევა, იმათი ფასი არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც დამქირავებულს თვით უღირს

ნინა და ვასილი მალაშხიები შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 სექტემბერს 1920 წელს ორშაბათს 1 საათზე, დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი შვილის **სამხედრო მფრინავი, კაპიტანი გრიგოლი (გრიშა) ვასილის ძე ვალაუხიას**

2866 3-1

საორგანიზაციო კომიტეტი გურიის სავაჭრო ბანკის ქ. ლანჩხუთში

ქირითადი თანხით 3.000.000 გ.

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა 26 სექტემბერს დილის 10 საათზე, ადგილობრივ თეატრის შენობაში, დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც გაიჩნება შემდეგი საკითხები:

- 1) გურიის სავაჭრო ბანკის გახსნა ქ. ლანჩხუთში და მიღება ლანჩხუთის საურთიერო ნდობის საზოგადოების აქტივისა თუ პასივისა.
- 2) ახლად დაარსებული ბანკის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა.
- 3) ბანკის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის არჩევა.
- 4) სხვა და სხვა კითხვები.

შენიშვნა: თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისეც ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვეჯილობაზე მეტი ჰქონდეს. ვეჯილობა ხმის მისაცემათ უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ქალაქ ლანჩხუთში.

2752 2-2

გეორგი სხელეფიშვილი თეატრში

(ყოფილი არტისტიული თეატრი)

რუსთაველის პროსპექტი № 21 შაბათს, სექტემბრის 25-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის

გუფისაგან და საპანდოტაროს იჯარით განსაჯამი 1920-21 წლის საზონისათვის

იჯარის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 12 საათამდე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ ამ თავითვე უნდა წარმოადგენილი იქმნეს ბე.

901 3-3

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მმართველი

აცხადებს რომ ქუთაისის სამეურნეო სკოლა გადაკეთებულია საშუალო სა-მეურნეო სასწავლებლად ოთხ წლიანი კურსით; პირველ კლასში მიიღებიან ორივე სქესის პირნი მოწმობით უმაღლეს დაწყებითი სკოლაში ან ოთხ კლასიან პროგიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი 15-18 წლისანი; ვისაც ზემო აღნიშნული მოწმობა არ აქვთ მათთვის დანიშნული იქნება გამოცდები. მსურველები უნდა გამოცხადდნ ამა წლის 28 ენკენისთვეს. სწავლა დაიწყება პირველ ოქტომბერს.

902 3 2.

სიღნაღის საურთიერო ნდობის საზოგადოების წევრთა საყურადღებო

კვირას, 3 ოქტომბერს 1920 წელს, დილის 11 საათზე სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია სიღნაღის საურთიერო ნდობის საზოგადოების წევრთა

არჩევნულმებრივი საზოგადო კრება

რომელიც განიხილავს შემდეგ საკითხებს:

- 1) ბანკის რეორგანიზაცია და
 - 2) მიმდინარე საკითხები.
- თუ ეს კრება არ შესდგა, მეორე დანიშნულია კვირას 17 ოქტომბერს, იმავე დარბაზში და თანახმად წესდების § 36-ის კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

903 1-1

გ ა მ გ ე ო ბ ა .

მუხ. 63.

თუ დაქრავდნენ არ მიეცა, რაც ანგარიშით ერგებოდა დაუყოვნებლივ შრომის ხელშეკრულების მოსპობისა ან გაუქმებისათვის...

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის მინისტრს უფლება ეძლევა შეაჩეროს ამ მუხლის მოქმედება.

მუხ. 64.

შრომის ხელფასის მიცემის დროს ხვედრი ფულიდან ნაწილის დაკლება შეიძლება მხოლოდ დამქრავებისაგან წინააღმდეგობით...

მუხ. 65.

დამქრავებელს აკრძალული აქვს სარგებელი გადახდების მოქმედება, თუ ვინც...

ფული ასესხა, ან სასყიდელი რამ გამოართვას, თუ მუშის მიერ სხვისაგან ფულის სესხის გამო თავდებად დაუდგა დამქრავებელს.

მუხ. 66.

დამქრავებელს აკრძალული აქვს დაქრავებულისაგან სასყიდლის აღება: 1) საექიმო დახმარებისათვის. 2) სახელოსნოს გათბობა-განათებისა და 3) საწარმოო იარაღის ხმარებისათვის.

მუხ. 67.

არა უშუალოდ ექვსი თვის მუშაობისა და სამსახურისათვის გასამრჯელოს გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში ალტერნატიული წესით მუშაობა არ გასულა, — უპირატესობა ეძლევა იმ თანამდებობისა, რომელიც დანიშნულია დამქრავების მკურნალობისათვის...

1920 წ. აგვისტოს 14-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთაძიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გ. დორაძიძე.

არა მხოლოდ უარი განაგრძობს.

მშრომლის სოციალისტური დაღვაწის პროპინდიაში.

ყაზბეგში.

მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგის ხიდი დაგვიდა მორთული არა ყავილებით. აქ კიდევ შემოგვარდა ასამდე ცხენოსანი. თვალწინააღმდეგობით წარმოადგინეს ცხენოსანი ლ. შკარი, რომელსაც ამშვენებს ხუთი მედროე, ხალხი, მათ წინ მიუძღვება ძველი ხევის თემს...

დარიალი.

სექტემბრის 20 დღის 8 საათზე დღევანდელ ყაზბეგიდან გაემგზავრა დარიალისკენ ყაზბეგის მცხოვრებლები აცილებენ სტუმრებს, მზიანი დღეა, მაგრამ თერგის და თოვლიანი მთების სიცივე საგრძნობია. თვალწინააღმდეგობით ხაბლავს სტუმრებს. დარიალის ხილზე ჯარს და ადგილობრივ მცხოვრებლებს გაუქმებიათ არა წარწერით: „ძვირფასს სტუმრებს ჩვენი სადარაჯო პოსტებიდან“...

დუშეთში.

დღევანდელი დუშეთში დაბრუნებისას ერობის წინ მოედინე მოწყობილი ტრიბუნა და გამართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. ს. დ. სამაზრო კომიტეტის სახელით დღევანდელს ვ. ქალანდარიშვილი მიესალმა. საპასუხოდ სიტყვა წარმოთქვა სნოლენმა: „მე, ამბობს სნოლენი, პირველი ვლადარაკობ ამ ტრიბუნადან, ვინაიდან ეს დამავალა მთელმა დღევანდელმა და ამის მიზნით გუშინდელი თქვენი შეხვედრა, როცა დროებით პარტიულად მოგვესალმა ქალაქის ორგანიზაცია. ჩვენ ფრიად გვახარებს, ის როლი, რომელსაც თამაშობენ ქალები საქართველოში სამშუბროდ იქ, ჩვენში ჯერ ეს არ არის. თქვენში ქალი გათანაბრებულია მამაკაცთან. ეს არის თავდები მომავალში ერის და მისი მოწინავე კლასის მუშათა დემოკრატიის განვითარებისა. გუშინ ჩვენ ვნახეთ ხევის ხალხი, იქ პიტლო კლდეებში ფრიალებს წითელი დროშები და ჩვენ ვნახეთ ამ დროშის ხელში მთელი ხალხი, მთელი გლეხკაცობა. ძლიერია ამ ხალხის ნების ყოფა და ექვემდებარება, რომ რომელიმე ტრანაიმ შესძლოს მასი დმარცხება; ეხლან დაბრუნდით რუსეთიდან და როცა ვადაგრებთ იქურდ და აქაურ ცხოვრებას, უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთში ვნახეთ მხოლოდ შიში, იქ ყველას ერთმანეთის ეშინია. იქ, თვით კომუნისტები უთხრიან ერთმანეთს სამარცხს. ჩვენ წავალთ ბრიტანეთში და იქ თქვენ ამხანაგებს, ინგლისის მუშებს გადავსცემთ, რომ საქართველოს ხალხს ჰყავს თავისი მთავრობა, რომელიც ხალხის ნებაზე მმართველს ქვეყანას და არა ისე, როგორც რუსეთის ეხლანდელი მთავრობა, რომელიც ხალხის ხმას ანგარაშს არ უწევს. ჩვენ ვერ ვთქვით ინგლისის მუშებს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას გვერდში უდგას მუშათა კლასი, რომ ეს მუშების მთავრობა და ის აშენებს თავის დამოუკიდებლობას—თავისუფალ სახელმწიფოს. და ჩვენ იქ ხმას ავიმალლებთ, რომ ცნობილ იქნეს საქართველო, (ხ. ნგრძლივა ტ. ში).

შემდეგ დაპირაკობს ფრანგი დელეგატი დემარკე. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი გრძობით და გატაცებით გვეგებება ხალხი. გუშინ ჩვენ ვიყავით მთებში და იქ ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენში ძლიერი ყოფილა არა მარტო ნაციონალური გრძობა, არამედ კიდევ უფრო ძლიერი ინტერნაციონალური. და მე მგონებდა ყოჩის სიტყვები, რომელმაც სიტყვა: „პატრიოტიზმი არ აშორებს ადამიანს ინტერნაციონალიზმისაგან, ხოლო ინტერნაციონალიზმი კი მიჰყავს ხალხს კემპარტ პატრიოტიზმისაკენ. ჩვენ ვნახეთ დღეს თქვენს სახლარზე კომუნისტები, რომლებმაც გვითხრეს, რომ რუსეთში ყველა კომუნისტები, ხოლო შემდეგ დამატეს, რომ ისინი მხოლოდ მოძილიზაციით გა მოწვეული ჯარისკაცები არიანო. თქვენ-

მა უტბოელი ვერ გავიგებ ამ ძალდატანებით „გაკომუნისტებას“, აქ სოციალისტური აზროვნებით გამსჭვალული ხალხთვით იცავს თავის ქვეყანას. ამაშია თქვენსი ძლიერე და ამისთვისაც არის, რომ თქვენ გაწვილდ ხელს მაგრად ჰკიდებს ევროპის მუშათა კლასი. (მქუხარ ტ. ში).

ტრიბუნაზე აღის მიუხედავად, რომელიც გამოჩნდა ხალხი ალტერნატიული მოდის. ამაში: „რომ რამემ გამაკვირვა მე საქართველოში; ერთი—ეს არის ერთსულოვნება, რომელსაც ყოველი ქართველი იჩენს დამოუკიდებლობის დაცვაში და დემოკრატიული გზით იდელების განმტკიცებაში, მეორე კი არტისტული გრძობა, რომლითაც ღრმად გამოსთქვით თავის სიხარულს. თქვენ უკანასკნელად განიცადეთ ოსმალეთის შემოსევა და საქართველოს ასეთი საშინელი განცდა ისტორიულად ხომ ბევრი ჰქონა. ჩვენც, ბელგიელებმაც განვიცადეთ ოთხი შემოსევა, ხოლო ამათგან უკანასკნელი იყო გერმანიის იმპერიალიზმის შემოსევა, რომელმაც გაანადგურა ბელგია. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ერთმანეთი. ჩვენ ვიჯავდით თავს თავგანწირვით და მიზანს მივალწვიეთ. სატარა ბელგიამ თავი გადაირჩინა. სანამ არ შესულა ყველა ქვეყნები ერთა ლიგაში, სანამ არ განიარაღებულა მთელი ქვეყანა, თქვენ, თავისუფალ საქართველოს შეიღებო, მშრალად შეინახეთ თოვთს წამალი საწყობებში, რომ თავდამსხმელნი მოიგერიოთ. ასეთი ხალხი, რომელსაც აქვს ძალა და ნებისყოფა ბრძოლისა, ხოლო გრძობა თავის მრავალფეროვან ბუნებისა, არ შეიძლება მოკვდეს. როცა ჩვენ თვალწინ იშლება დემოკრატიის ხელებით შექმნილი სახელმწიფო, მე არ შემიძლია არ მოვიგონო თქვენი ბრძენი ხელმძღვანელები და მით უმეტეს ის ამხანაგები, რომელნიც ეწამენ ამ იდეისათვის და დაიხრცენ. ხანგრძლივმა ტაშმა დაჰფარა სიტყვა. საღამოთი ძვირფასი სტუმრები მცხეთისაკენ გაემგზავრნენ. ისინი ხალხმა „ვაშს“ და „გაუმარჯოს“ ძახლით გააცილა.

მცხეთაში.

8 საათზე უკვე მცხეთაში ვიყავით, სადაც დროშებით დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. დუშეთიდან განზრახული იყო პირდაპირ ტფილისისაკენ წასვლა, მაგრამ ავტომობილებს გადაეღობა ხალხი და მოითხოვეს სტუმრები გადმოვიდნენ ავტომობილებიდან და მოისმინეს ადგილობრივ ორგანიზაციათა მისალმებანი. ბავშვების გუნდმა სტუმრებს თავიუფლი მიართვა.

დღევანდელი სახელი აქ ხალხს მიესალმა ჭაშას შოთ, რომელმაც სიტყვა: „ჩვენ ვნახეთ თქვენი ლამაზი ქვეყანა და პატრიოტიზმი და მშვენიერი ხალხი და ეხლა უნდა გითხრათ მთელი ევროპის მუშების სახელით, რომ ჩვენ ერთი წადილი გვაქვს, რომ თქვენ არ დაკარგოთ ეს თავისუფლება. ამისათვის ევროპის მუშებმა უნდა მიიღონ ზომები და მოითხოვონ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და ხალხთა ლიგაში შესვლა. მე მწამს, რომ ასეთი თავისუფალი ხალხი შესძლებს თავისუფლად აღხარდოს შეიღებიც, მე ვიყავი რუსეთში და არ მინდა ეს სიხარულის დიმილი:—ის მგლოვარება, ვინაიდან ძალდატანება ერთი ჯგუფისა და ხალხი აკეთებს ძალდატანებით იმას, რაც მთავრობას ჰსურს და არა იმას რაც თვით ჰსურს. აქ კი გყავთ თქვენი მთავრობა, დემოკრატიულ პრინციპებით რომ ხელმძღვანელობს ყოველ საქმეში. ჩვენ იქ, ევროპაში ავამოძრაებთ მუშებს თქვენს დასახმარებლად, ჩვენ იქ ვადაცემთ მათ, რომ საქართველო არის დემოკრატიზმის გზაზე და მიდის მუშათა კლასის ს. ბოლო იდელებისაკენ. ამისათვის ის უნდა იქნეს ცნობილი, ის უნდა შევიდეს ერთა ოჯახში თავისუფალი და დამოუკიდებელი. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს ინტერნაციონალს! შოუს სიტყვები დაჰფარა ტაშმა. სტუმრებს ყვავილებს ეცვიან საერთო ოვაციებში და სიხარულში დღევანდელ ტფილისისაკენ გაემართა.

ჩანოღელი საფრანგეთის მდგომარეობი შეხიხე.

საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მთავრობის საფრანგეთის დელეგაციის წევრმა ჩანოღელმა საფრანგეთის სოციალისტთა შორის არსებულ განწყობილების შესახებ შემდეგ სიტყვა. საფრანგეთის ოფიციალურმა სოციალისტურმა პარტიამ მართლაც ბოლშევიზმისაკენ ვადი-

ბარა, მაგრამ საფრანგეთის მუშები პარტიის ბოლშევიზმისაკენ არ მიყვებიან. ამას ცხადია მოწმობს შრომის გენერალური კონფედერაციის ტაქტიკა და პოლიტიკა. კონფედერაციისათვის გაერთიანებული მუშათა კლასის მეწინააღმდეგე არ გაყვება ბოლშევიზმს. მუშათა სულიერი განწყობილება ასეთია, რომ მოსალოდნელია მოკლე ხანში ფრანგ სოციალისტების დამოკიდებულების შეცვლა ბოლშევიკებისადმი. მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებისა მუშები ვრანგელის მთავრობის აღიარებას უარყოფითად უყურებენ. ამგვარადვე უარყოფთად ეკიდებოდა საფრანგეთის მუშები პოლონეთისათვის აქტიურ დახმარების აღმოჩენის საკითხს. საფრანგეთის მუშები შეუთანხმდნენ ინგლისის მუშებს, რომ ეწინააღმდეგონ ვრანგელისა და პოლონეთისათვის აქტიურ დახმარების აღმოჩენას. ამავ დროს საფრანგეთის სოციალისტები კატეგორიულად მოითხოვენ პოლონეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და მის ბოლშევიკებისაგან ხელშეუხლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ფრანგი სოციალისტები რუსეთ-პოლონეთის საქმეთა ჩარევის საკითხში შეცვლიან თავის პოლიტიკას.

საქართველოში უმუშევრობის შემცირებისათვის.

გზათა უწყების დეპარტამენტმა შეიმუშავა რუსეთსა და საქართველოს შორის საავტომობილო ხელშეკრულების პროექტი. თანახმაა პროექტისა რუსეთის გემები საქართველოში და საქართველოს გემები რუსეთში, მიუხედავად იმისა თუ საიდან მოვიდნენ ისეთივე უფლებით სარგებლობენ როგორც ადგილობრივი გემები. ხელშეკრულების პროექტი ექვს მუხლისაგან შესდგება. მე-6 მუხლის ძალით თუ გემი დაზიანდა, მას უნდა მიეშველოს ის სახელმწიფო, რომლის ნაპირებთანაც ის დაზიანდებდა. ვადარჩენილი საქონელი თუ იგი სახელმწიფოს შინაურ საჭიროებისათვის არაა დამზადებული ყოველგვარ საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალია.

სომხეთში.

გაყვანი სექტემბრის 22. რუსეთის საბჭოთა ჯარი მოულოდნელად შეტევაზე გადავიდა აქსიხართან და დაიკავა სომხეთის უდავო ტერიტორიის ერთი ნაწილი. სექტემბრის 21, სომხეთის ჯარი შეებრძოლა საბჭოთა ჯარს და წაართვა სოფლები აქსიხართი, ბოვანის-აირუმი და კან-აირუმი. მტერი დარღ-მარხალის ხაზზე გამაგრდა. სომხეთის მთავრობამ ამას გამო საბჭოთა რუსეთს პროტესტი განუცხადა. ოლთის მიმართულებით სომხეთისა და ოსმალეთის რაზმებს შორის ბრძოლა გრძელდება. სომხეთის რაზმმა კვლავ დაიკავა ქვანახშირის მალაროები.

დეკემბერი.

გერმანიის კომუნისტებმა დღეს უმუშევართა დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს. ორივე სოციალისტურ პარტია წინააღმდეგი იყო ამ დემონსტრაციის, ვინაიდან მათი ფიქრით არ დამდგარა კიდევ დრო პროლეტარატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. დემონსტრაციის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდნენ პროვოკატორები, რომელთაც უნდოდათ მიეცათ საბაზი რეაქციონერებისათვის პროლეტარატის წინააღმდეგ გამოსალაშკრებლად. ლითონზე მომუშავეთა საერთო კრებამაც ვაბრთხილა თავისი წევრები არ მიეღოთ მონაწილეობა დემონსტრაციაში. სადლომბისის რამოდენიმე ათასი უმუშევარი შეიკრიბა ბერლინში, სადაც 19 ორატორი მიმართავდა სიტყვებით ხალხს. ორატორთა ზიზი უმთავრესად ბურჟუაზიის და კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგი იყო მიმართული. ერთი ორატორთაგანი მოითხოვდა დამოუკიდებელთა ლიდერების დატუსაღებას და მათ ციხეებში მოთავსებას ან დახვეჭებას. შემდეგ დემონსტრაციებმა მთავარი ქუჩებით დაიწყეს სვლა. ფრანგების რედაქციისთან ვავლის დროს ხალხი ვახეთის გამოძილებს კიცხავდა. სხვა ინციდენტს არ ჰქონია ადგილი. ქუჩებს ჯარის საკმაო რიცხვი იცავდა. ფრანგული პრესა. დემონსტრაციის თხოვნა. პრეზიდენტებიდან გადადგომის შესახებ ღრმა მოლაპარაკების ატ-

სახელმწიფო უწყისადალი გეოგრაფიის ოლქი

ფინანსთა სამინისტროში.

ბათუმის ოლქის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ, ე. ი. ივლისის 7-დან სექტემბრის 7-მდე ბათუმის ხაზინაში სახელმწიფო შემოსავლის სახით 69.348,440 მანეთი შემოვიდა. ფინანსთა სამინისტროს ცნობებიდან სჩანს, რომ ივლისის მეორე მეოთხედში ბათუმის ოლქში სახელმწიფო შემოსავალი მცირე იყო, სახელდობრ—1.198,588 მ. ამავე თვის მეორე ნახევარში სახელ. შემოსავალი იქნა 15.744,388 მანეთამდე. აგვისტოს პირველ ნახევარში შემოვიდა 17.510,414 მ., მეორე ნახევარში კი 34.945,050 მანეთი. ამ გვარად აგვისტოში საშუალო მერტი შემოსავალი ივლისის შემდეგ ნაირად განიყოფება: პირდაპირი გადასახადისაგან შემოსულა 18.780,000 მანეთი, არა პირდაპირი—20.758,721 მან. და საბაჟო შემოსავალი—48.619,939 მან. ყველაზე მეტი შემოვიდა საბაჟოდან, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ბათუმის მნიშვნელობასთან, როგორც საქართველოს მთავარ ნავთსადგურთან. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ბათუმის შემოერთებამდე საბაჟო შემოსავალი მთელ საქართველოში არ აღემატებოდა 10—13 მილიონს თვეში.

ფინანსთა სამინისტროს ცნობითვე სახელმწიფო შემოსავლის საერთო თანხა აგვისტოში, ბათუმის ოლქის გარდა, უდრის 102 მილიონ მანეთს. ბათუმის ოლქიდან კი აგვისტოში შემოვიდა 52 მილ. მან. ესე იგი სულ 154 მილიონი მანეთი).

მუნიციპალ. ცხოვრება

სტატისტიკურ საბჭოში.

3. გელიციის თავმჯდომარეობით ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს სხდომა შესდგა. მიიღეს ბლანკები საექიმო-სასანიტარო სტატისტიკისათვის. ამასთანავე ერობათა კომიტეტს და ქალაქთა კავშირს წინადადება მიეცა გამოარკვიოს საჭიროდ თუ რამდენი ბლანკია საჭირო ქალაქებისა და ერობებისათვის. ამასთანავე საბჭომ დაადგინა: სთხოვოს მთავრობას, რათა უკანასკნელმა მისცეს წინადადება ქალაქებსა და ერობებს სავალდებულო საექიმო-სასანიტარო სტატისტიკურ ცნობების შედგენის შესახებ. სტატისტიკურ საბჭოს ამავე სხდომაზე განხილეს საკითხი ქალაქისა და სასოფლო სამეურნეო აღწერის შესახებ. ქალაქის აღწერა უნდა მოხდეს დამოუკიდებლად, დეკემბრის განმავლობაში, აღწერის პროექტის დამუშავება მიენდოს საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან: გ. კონიევი, ქალაქის საბჭოს წევრი გ. მაჭავარიანი, მ. მანდელშტამი და სტატისტიკი გრიგორიანი. აღწერის გეგმის შედგენამდე სტატისტიკოსთა ყრილობის მოწვევა არის განზრახული.

ერთდროული ქალაქის გადასახადი.

ქალაქთა კავშირის აღმასრულებელ ბიუროს მთავარ კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე განხილეს საკითხი ქალაქთა თვითმართველობების სასარგებლოდ ერთდროული გადასახადის დაწესების შესახებ. განზრახულია ამ საკითხის ერობათა კავშირთან შეთანხმებით განხილვა.

სამხედრო ჰოსპიტალები.

ქალაქთა კავშირმა შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრა შუამდგომლობა ქალაქის გამგეობაში სამხედრო ჰოსპიტალის განსაზღვრულ რაოდენობის საწოლების დათმობის შესახებ.

რკინის გზებზე

ხად. სამტრედიო.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა სამტრედიის სადგურზე ელექტრონის განათების მოსაწყობად საჭირო თანხა გადასცა.

ბათუმის რკინის გზელები.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში შეტანილია საკითხი ბათუმის რკინის გზელების ზინის საჭიროების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ზინის საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევა სად. ბათუმში მოხდა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მოსამსახურენი უზინაობის გამო დიდ სიფრთხილეს განიცდიან, ბევრი მოსამსახურე ჯერაც არ არის და-

კმაყოფილებული ბინით, შენობების რეკონსტრუქცია კი ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში დიდ დაბრკოლებას ხდებოდა. შესაფერადებლად, სადაც შესაძლებელი იქნება რკინის გზელებისათვის ბინების აშენება, საარტილერიო უბანი ჩაითვლება. დასასრულ აღნიშნულია საჭიროება საგანგებო შუამდგომლობის აღძვრისა საარტილერიო უბნის საქართველოს რკინის გზების სამმართველოს განკარგულებისათვის გადაცემის შესახებ, რათა ერთ-ერთი ჩამომეული სახლი რკინის გზელებს მოახმარონ.

შპალების დამზადება.

გზათა უწყების დეპარტამენტს განზრახული აქვს საჩხერის რაიონში მოაწყოს შპალების დამზადების საქმე რკინის გზის საჭიროებისათვის. ამ საქმის მოსაწყობად საჩხერეში მიემგზავრება გზათა უწყების ინჟინერი გვარამაძე და ტექნიკურ განყოფილების უფროსი ინჟინერი გენიკი.

ხელმოწერა.

ბაღეცის შკოლა.

სახელმწიფო ბაღეცის შკოლაში უკვე დასრულდა მისაღები გამოცდები. მიღებულია 100 ქალი და ვაჟი. მოზრდილი და ბავშვები, ყველა ეროვნებისა. ბაღეცის შკოლის მასწავლებელთა შორის მოწვეულია მარინის თეატრის ყოფილი ბაღეცისტიკური სერგეივი.

ბაღეცი სახელმწიფო თეატრი.

მომავალ სეზონში დიდი ყურადღება ექნება მიქცეული ბაღეცის. ბაღეცი შესდგება 18 მოცეკვავე ქალიდან და 4 სოლისტისაგან. ხელახლად დაიდგება ცეკვით ოპერები „გუგენოტები“, „ფაუსტი“ და სხვ. განზრახულია დადგან თამარ ვახუშტის ბაღეცი „სიყვარულის საწამლაი“, „გედების ტბა“, იპოლიტოვი-ივანოვის „გეფხვის ტყაოსანი“ და „დედა და შვილი“ ჰაგკაფაძისა.

სახელმწიფო ოპერა.

მაღე დასრულდება მ. ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ცხიერის“ ტექნიკური წინასწარ მზადება. კომპოზიტორმა კ. ფოცხვერაშვილმა ოპერა „ლალიტის“ ორკესტროვკა დასრულა. ოპერა მიღებულია საოპერო კომისიის მიერ. როლში შესწავლილია და უკვე დიფიუზო ორკესტრის რეპეტიციები. ოპერას სდგამს წუწუნავა. სექტემბრის 15 სახელმწიფო თეატრი ორკესტრის სრული შემადგენლობით რეპეტიციას შეუდგა.

თეატრალური ვაზეთი.

სახელმწიფო თეატრის გახსნის დღეს, სექტემბრის 30, გამოვა ყოველ დღიური სათეატრო ვაზეთის პირველი №-თანამშრომლებით მოწვეულია საუკეთესო ლიტერატურული და არტისტიული ძალები, ვაზეთის სახელი „არლექინი“ა.

ნ. ჟორდანიას სახელობის თეატრი.

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას ნებართვით მისი სახელი ეწოდა ავჭალის მუშათა თეატრს რომელიც ამას წინად ქალაქის თვითმართველობამ გახსნა.

მილიციაში

ყაჩაღების სდევნა.

25 აგვისტოს, სავარჯესო სამილიციო რაიონში, ტფილისის მაზრის მილიციას, იორმულანოს მილიციის და დავით-გარეჯის მონასტრის ცხენოსან მილიციელთა დახმარებით, მოუხდა სროლა ცნობილ ყაჩაღებთან: ახმედ მამად ოღლთან, აღბალა მოლა მახმუდ ოღლთან და ისკანდერ შამშილ ოღლთან (უკანასკნელი აზერბეიჯანიდანაა გადმოსული). დიდხნის სროლის შემდეგ მოკლული იქნა ყაჩაღთა მეთაური ახმედ მამად ოღლი. დანარჩენები გაიქცნენ და როდესაც მილიციელნი დაედევნენ და ხელშეორედ აუტყუებეს სროლა, სროლის დროს მოკლულ იქნა სავარჯესოს უმცროსი მილიციელი სიკო ჩაბიძე.

ქალის გატაცება.

16 სექტემბერს, ღამის 12 საათზე, სოფ. ბორბალოში სოსიკა ოთარაშვილის; სახლს დაესხნენ შვიდი შეიარაღებულნი ბოროტ-მოქმედნი, ასტეხეს სროლა, დალევს ფანჯრები და გაიტაცეს სოსიკას ძმისწული ოღლა გიორგი ოთარაშვილის ასული. ასურეთის რაიონის მილიციის უფროსის მიერ მიღებული ზომებით შეპყრობილნი არიან ბოროტ-მოქმედნი სოფ. ვაშლოვანის მცხოვრებნი: სოლა მკირტუშვიდი, ვანო მანთა-

შაშვილი, ვანო და დათა მგალობლიშვილები, რომლებიც გამოტყდნენ თავდასხმაში, ხოლო მათი მეთაური ტიგრანა ასლანაშვილი და გატაცებული ოღლა ოთარაშვილი აღმოჩენილია მანგლისის რაიონში, სოფ. ლოლოვანში, სადაც უკანასკნელიც უპყრობილნი არიან.

სამხედრო სხვე ლეგ. ბარა-ჟანიკი.

(წერილი რედ. მიმართ.)

დიდათ პატივცემულო ბატონო რედაქტორო! საქართველოს რესპუბლიკის ბერლინელ წარმომადგენლობას თხოვით მიმართა ყოფილმა სამხედრო ტყვემ ლევან ავთანდილის-ძე გარაყანიძემ. დაბადებულია 1819 წ. იანვრის 30-ს. სოფ. ლამისყანაში, რათა მას საშუალება მიეცეთ მშობლებთან მიწერ-მოწერის აღდგენისათვის. მოქალაქე ლევ. გარაყანიძეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არავითარი ცნობა არ მიუღია თავის მშობლებისა და ნათესავებისაგან ყოველივე ცდა ბ. გარაყანიძის მიერ მშობლებისაგან ცნობის მისაღებად, დღემდის უნაყოფოდ დარჩენილა. გთხოვთ ამ მკირე ცნობის გამოქვეყნებით საშუალება მოგვეცეთ, რათა ბ-ნ ლევან გარაყანიძის მშობლებისაგან ცნობები მივიღოთ. ყოველივე წერილი ამ მიზნით უნდა გამოიგზავნოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით. შემდეგის მისამართით საქართველოს რესპუბლიკის ბერლინელ წარმომადგენლობის ატაშეს კ. ვაშასხურდიას. ბ. ლევან გარაყანიძისათვის.

პალივისციმით საქართველოს რესპუბლიკის ბერლინელი წარმომადგენლობა.

გ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა ნ ი

დაიკარგა ორი თვის შვებულების მოწმობა № 374, მიღებული სახალხო გვარდიის მე-6 ბატარეის უფროსისგან იასონ ანტონის ძე ზოდელავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2815 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული სოფ. ზაგლიკის სოფლის მმართველობიდან მიკირტიჩ სარქიის ძე აგიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2794 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სპარსეთის მთავრობისგან 1919 წ. ალი-ლუთ-ფულა-ოღლის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2809 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრადან განთავისუფლების მოწმობა, სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან და ტრამვის უფასო ბილეთი მადალ საქუას ძე თანდილიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2812 3—2

დაიკარგა ტფ. მილიციის სამმართველოდან მიღებული ტფ. ტრამვაზე უფასო მიმოსვლის ბილეთი და მე-4 უბნის კომისარიატიდან მიღებული პირადობის მოწმობა გაბრიელ მიკირტიჩის ძე მალოიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2787 3—2

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს საქალბო სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტი ეკატერინე სამსონის ასული ქუთათელაძის სახელზე, მიღებული იმავე სასწავლებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2487 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ალექსანდროპოლის ქალაქის თვითმართველობიდან ანდრია სარქიის ძე მარკარიანის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2800 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 21 ივნისს 1920 წ. № 2625 გიორგი დავითის ძე ფალავანდიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2795 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან მეტრიკული მოწმობა მიღებული ახალციხის მაზრის სამმართველოდან და სათადარიგო ჯარის კაცის მოწმობა მიღებული ახალციხის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან ისაკ ევუშვილის ძე ანტონიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2807 3—2

იონანე (ივანე) ლევანის ძე კაქარავა აცხადებს, რომ მან დაკარგა ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარიის კურსის დასრულებისა, მოწმობა, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2864 3—1

დაიკარგა სოც. დახმარების წიგნაკი № 170 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ელენე ექვთიმეს ასულის ფრიდონოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2791 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ს. ზემო-ავჭალის კომისარისგან თოფის „ბერდენკის“ ნებართვა, პირადობის მოწმობა და ცხენის ყოლის ნებართვა (მოწმობა) მიღებული მწყემსთა კავშირიდან ზაქარია ბესარიონის ძე ბუტიკაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2844 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე სერგოს ძე ფონტინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2837 3—1

დაიკარგა კვიტანცია ცხენთა გადასახადის შეტანის მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 5 თებერვალს 1920 წ. ლაზარ შუმანოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2838 3—1

დაიკარგა მოსკოვის შრომის არტელიდან მიღებული 23 მაისს 1917 წ. კვიტანცია აფანასი ფედოტის ძე გრინიევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2839 3—1

დაიკარგა საქართველოს ქვეშემდროობის მოწმობა მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ეკატერინე ორაფიონის ასული მარაგოვას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2833 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა მიღებული ბათუმის ქართულ გიმნაზიიდან 18 ივნისს 1920 წ. კოლიტე ხარამაძის ძე ლომაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2829 3—1

დაიკარგა მოწმობა № 567. მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობის სამხედრო განყ. 20 მაისს 1920 წ. არუთინ ვასილის ძე ახარაშვიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 280 3—1

დაიკარგა ზუგდიდის ორ კლასიან სკოლის დამთავრების მოწმობა მიღებული 1916 წ. ალექსანდრე ივანეს ძე ჩომახიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2831 3—1

დაიკარგა პასპორტი № 512 მიღებული საქართველოს საკონსულოდან ბაქოში 4 ივლ. 1920 წ. კლავდია ვასილის ასულის შარაშიძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2832 3—1

დაიკარგა მოწმობა № 3170 მიღებული გურიის საოლქო გვარდიის შტაბიდან 1 აგვ. 1920 წ. და მეტრიკული ამონაწერი მიღებული ს. ზახვის გაბრიელის სახელობის ეკლესიიდან ალექსანდრე ლუკას ძე ვაშლომიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2822 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო ბეგრის უფროსისგან და პასპორტი მიღებული ტფ. მდამიო მოქალაქეთა სამმართველოდან არტემ ალიბეგის ძე ავაშოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2823 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა № 191 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან აკოვ არუთინის ძე ლუარსაბოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2826 3—1

პლატონ გუსარიას ძე კილასონია აცხადებს, რომ მას დაკარგა ნუსხა № 698, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2827 1—1

ტფილისის მაზრის მილიციის სამმართველო აცხადებს,

რომ გარე უბნის მიდამოებში აღმოჩენილია ორი უპატრონო ცხენი მოშავო და წითელი ფერისა. აღნიშნული სამმართველო მოიწვევს ცხენების პატრონს, რათა ჩაიბაროს ასეთები. საჭიროა ნასყიდობის ან კუთვნილების მოწმობა, რომელიც უნდა აღნიშნული უნდა იქნეს ცხენების ნიშნები. 2835 1—1